


**კალიგრიფიკაცია და
ჭაბუკაბო! გავითად
ინსაჟლეთ კომუნიზ-
მ! დაუფლეთ სოლ-
ნას, კულტურას,
პროფესიულ ოსტა-
ვობას!**

**იყავით კომუნიზ-
მისათვის აკტიური,
შეგნებულნი მებრძო-
ლნი!**

პროფესორი მკვლევარი, პედაგოგი



№ 87
(6398)

12

1979 წ.
მაისი,
შაბათი.
ფასი 3 კაპ.

საპარტველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზკულტურისა და
სპორტის კომიტეტისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО Орган Комитета по физической культуре и спорту при Совете
Министров ГССР и республиканского Совета профсоюзов

**გაზეთი გამოდის
1984 წლის
13 აპრილიდან**

სწავლა და სპორტი — მხარდამხარე

დღეს საქართველოს ფიზკულტურის დიდ დარბაზში საზეიმო ვითარებაში გაიხსნება რესპუბლიკის სტუდენტთა აქტივის კრება, რაც დიდმნიშვნელოვანი მოვლენაა ჩვენი რესპუბლიკის ახალგაზრდების ცხოვრებაში.

საქართველოს ახალგაზრდობის საუკეთესო წარმომადგენლები — სტუდენტები პროფესორ-მასწავლებლებთან და რესპუბლიკის ხელმძღვანელ პარტიულ მუშაკებთან ერთად შეაჯამებენ ბოლო პერიოდში გაწეული მუშაობის შედეგებს, დასახვედრს მომავლის ამოცანებს.

საბჭოთა მთავრობა, ჩვენი ქვეყნის კომუნისტური პარტია შეუძლებელ მზარუნველობას იჩენენ ახალგაზრდა სპეციალისტთა აღზრდისათვის, სასწავლებელთა ქსელის გაფართოებისთვის და მათი მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფისთვის. ეს ზრუნვა თავდასხვით გააძლიერდა სსრ კავშირის ახალ კონსტიტუციაში, რომლის მიხედვითაც საბჭოთა კავშირის მოქალაქეებს კანონით გარანტირებული აქვთ სწავლის უფლება. საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის პროგრამაში ხაზგასმითაა ნათქვამი, რომ „კომუნისტურ გარემოში გულსხმობს კომუნისტურად შეგნებული და დიდად განათლებული ადამიანების აღზრდასა და მომზადებას, რომლებსაც უნარი ექნებათ ეწეოდნენ როგორც ფიზიკურ, ისე გონებრივ შრომას, აქტიურ საქმიანობას საზოგადოებრივი და სახელმწიფოებრივი ცხოვრების სხვადასხვა დარგში, მცენიერებისა და კულტურის დარგში“.

ჩვენს სტუდენტ ახალგაზრდობას ბევრი სასახელო საქმე გაუკეთებია. ისინი სწავლასთან, მცენიერული ცოდნის დაუფლებასთან ერთად აქტიურ საზოგადოებრივ საქმიანობასაც ეწევიან. უკანასკნელ პერიოდში განსაკუთრებით მასობრივი ხასიათი მიიღო მესამე შრომითა სემესტრებმა; საქართველოს ათასობით სტუდენტი ყოველწლიურად დამკვირვებლად შრომობს როგორც ჩვენი რესპუბლიკის, ასევე მოკავშირე რესპუბლიკების მნიშვნელოვან მშენებლობებზე და თავისი წვლილი შეაქვს სკკპ XXV ყრილობის გადაწყვეტილებათა შესრულებაში.

რესპუბლიკის უმაღლეს და საშუალო სპეციალურ სასწავლებლებში ფართოდაა გაშლილი ფიზკულტურულ-სპორტული ცხოვრება. სხვაგვარად წარმოუდგენელიცაა — საბჭოთა ქვეყანაში ახალგაზრდობის ფიზიკური აღზრდის საკითხი ზომიერების, ზეწოვით და ესთეტიკური აღზრდის მხარდახმარ წყდება. სტუდენტ სპორტსმენთა და ფიზკულტურის განკარგულებებისა საუკეთესო სპორტული ბაზები და ნაგებობები, მათ ფიზიკურ აღზრდასა და სპორტულ დასოციატებას ემსახურებან ფიზკულტურული კლუბები და სპორტული კლუბები.

ასობით მასწავლებლები და მწვრთნელები ჩვენი რესპუბლიკის ფიზკულტურულ-სპორტულ მოძრაობაში სტუდენტ სპორტსმენთა წვლილი თვალსაჩინოა. რესპუბლიკის მოწინავე სპორტსმენები კარგად უთავსებენ ერთმანეთს სწავლასა და სპორტს. ამის ნათელი დასტურია, რომ საქართველოს ნაკრები გუნდების წევრთა დიდი უმრავლესობა, რომლებიც ახლა გაცხოველებით ემზადებიან სსრ კავშირის ხალხთა VII სპარტაკიადის ფინალისთვის, რესპუბლიკის უმაღლეს სასწავლებლებში სწავლობს და სხვადასხვა სპეციალობის ეფუძლება. საქართველოს სტუდენტ-სპორტსმენთა ანგარიშზეა მრავალი სასახელო გამარჯვება ჩვენი ქვეყნის, ევროპისა და მსოფლიოს ჩემპიონატებში, ოლიმპიურ თამაშებში. მათ არც სტუდენტთა მსოფლიო უნივერსიადებზე შეურცხველიათ თავი. ევროპისა და მსოფლიოს ჩემპიონაში, მოქიდავე ვ. ბლაგიტიჩ პირველი დიდი ნათლობა სწორედ უნივერსიადებზე მიიღო, სადაც უმაღლესი ჩილდო დამსახურა, შემდეგ კი უფრო დიდი სპორტული მწვერვალებიც დაიპყრო. წლეულს მსგავსი შეგნება სექტემბერში, მექსიკაში გაიმართება და, უძველესი, საბჭოთა სპორტულ დელეგაციაში ქართველი სტუდენტი სპორტსმენებიც იქნებიან.

თანამედროვე სპორტი მის მიმდევრებს ძალზე დიდ მოთხოვნებს უყენებს — ყოველდღიური, ინტენსიური ვარჯიშის გარეშე დღეს მეტნაკლებად მნიშვნელოვანი წარმატების მოპოვება შეუძლებელია. ამიტომ, ბუნებრივია, რთულია ორ ფრონტზე — სწავლისა და სპორტის ფრონტზე ბრძოლა. რთულია, მაგრამ საპატიო და ამ საქმეში სტუდენტ სპორტსმენებს დახმარება უნდა აღმოუჩინონ სასწავლებელთა ხელმძღვანელებმა. როგორც რესპუბლიკის პარტიულ-სამეურნეო აქტივის 1977 წლის 2 ივლისის კრებაზე ითქვა „ინსტიტუტებისა და ტექნიკუმების ხელმძღვანელებმა, პროფესორ-მასწავლებლებმა, ორგანიზაციათა ხელმძღვანელებმა უნდა შეივსონ თავიანთი პასუხისმგებლობა და მოამზადონ სპორტსმენები აქტიური საზოგადოებრივ-სახარგებლო საქმიანობისთვის მას შემდეგ, რაც სპორტული ხარბიელის დატოვების დრო დაუდგებათ. დააუფლონ ისინი, ასე ვთქვათ, „სამოქალაქო“ სპეციალობებს, აღზარდონ ჩვენი ქვეყნის ღირსეულ მოქალაქეებად“.

ახლა, როცა კარსა მომდგარი სსრ კავშირის ხალხთა VII სპარტაკიადის ფინალური შეგნებება, განსაკუთრებით იზრდება იმ სტუდენტ სპორტსმენთა პასუხისმგებლობა, რომლებსაც ამ დიდ ფორუმზე ჩვენი რესპუბლიკის ღირსების დაცვა მოუწევთ.

წარმატებით სტარტებს ვუსურვებთ მათ!

● კრიზი ბ მ ი რ ი ს ს ა მ შ ე ბ ლ ე შ ი

ამ სამოღვე წლის წინ კარგ ტრადიციის ჩაყარა საფუძველი — ლეგენდარული მე-18 არმიის სარდლის, საბჭოთა კავშირის გმირის, გენერალ-პოლკოვნიკ კონსტანტინე ლესელიძის სლოვანიაში მიძღვნილ საქვეშრო ტურნირის კრიზში. ამჟამად, რიგით III ტურნირი კ. ლესელიძის სამშობლოში — მახარაშველში ჩატარდა. შეგვიხარება

საქართველოს საუკეთესო მოკრივეებთან ერთად ჩვენი ქვეყნის გმირი ქალაქების სპორტსმენებიც მონაწილეობდნენ. ასპარეზობას ესწრებოდნენ კ. ლესელიძის თანამებრძოლები, მე-18 არმიის ვეტერანები.

წონითი კატეგორიების მიხედვით გამარჯვება მოიპოვეს: მ.

ტიამაზოვა, კ. კლიმანოვსკი (ორივე — ვოლოგოდალი), ა. ხიზანიშვილი, გ. ასოვევა, ვ. გოგუაძე (სამივე — თბილისი), ა. იმანგულოვა, ა. ეივოვა, ა. გუსევა (სამივე — ვოლოგოდალი), ვ. კუშნეროვა (ბლაგოვეშჩენსკი), ა. ბიკიაშვილი და დ. ქოქოვა (ორივე — ცხინვალი).

● მკალღურობა

ეს ფოტოსურათები მეტეხის ციხის ფრიალო კლდეებზე, 9 მაისს გამართულ ქალაქის მეკლღურთა შეგნებებზე მოგვითხრობენ. ასპარეზობა, რომელმაც თბილისელ მეკლღურთა სეზონი გახსნა, გამარჯვების დღეს მიეძღვნა.

მეტეხის ციხის კლდეებზე

შეგნებებში ხუთი გუნდის წარმომადგენლები ჩაებნენ. ისინი 30-მეტრიან ტრასაზე ეგებებოდნენ ერთმანეთს. ქალთა შორის საუკეთესო იყო ფიზკულტურის ინსტიტუტის სტუდენტი, სპორტის ოსტატი ი. კრუპენინა. ვაჟთა შორის გამარჯვა უნივერსიტეტის წარმომადგენელი, სპორტის ოსტატობის კანდიდატმა ბ. ბულაშვილმა.

ს. ვართანსოვის ტექსტი და ფოტოები



● პაღრაპი ზეღიზელ მესამე მოგება

გამარჯვების დღისადმი მიძღვნილ საქართველოს, უკრაინისა და მოლდავეის დიდოსტატთა და ოსტატთა ტურნირში, რომელიც თბილისის ქარაიის სასახლეში ტარდება, გათამაშდა V ტური. სწრაფად, 17 სულაში დაზავდნენ ლეველები ო. რომანიშინი და ა. მიხალიშინი. დანარჩენ შეხვედრებში მძაფრი ბრძოლა მიმდინარეობდა.

თავის საყვარელ უფიმცვეის დაცვაში ი. ჩიქოვანმა შეძლო ინიციატივას დაუფლებოდა დიდოსტატ ა. ლუტიკოვთან (მოლდავეთი) პარტიაში. პაიკის დაკარგვის შემდეგ, 39-ე სულაზე, დიდოსტატმა პარტიაც წაავა.

ე. გუფელ — ზ. სტურუასი შეხვედრაში ინგლისური დასაწყისი გათამაშდა. მანვერულ თამაშში

ბევრი ფიგურა გაიცვალა და დიდოსტატის წინადადებით მეტოქეები დაზავდნენ. ეს სტურუას უკვე მეხუთე ყაიძია, სამი მათგანი — დიდოსტატებთან!

ლიდერი ე. უბილაე თამაშობდა ბ. გურგენიძის წინააღმდეგ. დიდოსტატმა ორიგინალურად გაითამაშა სიცილიური დაცვა და ფიგურების განვითარებაში უპირატესობა მიიღო. ამის სანაცვოდ უბილაეას ზედმეტი პაიკი ჰქონდა. შემდგომ გურგენიძე ცაიტნოტში მოხვდა და დამარცხდა. ეს იყო უბილაეას ზედიზედ მესამე გამარჯვება.

კ. ლენერმა (ოღესა), მოუგო ა. იზოვჩიკოვს. თბილისელმა ოსტატმა თანაბარ მდგომარეობაში დროს გადააცილა.

გადაიღო ორი პარტია: ზ. აზმაი-

ფარაშვილი — ს. ჩეჩელიანი და მ. პოღაეცი (ოღესა) — გ. ზაჩიჩი, ორივე თანაბარ მდგომარეობაში.

*5 ტურის შემდეგ ლიდრობს ე. უბილაეა — 3,5 ქულა და 1 გადაღებული პარტია. ო. რომანიშინს 3 ქულა აქვს.

მ. შიშოვი,
შეგნებების მთავარი მსახივ მოადგილე, სსრ კავშირის დამსახურებული მწვრთნელი.

გაუზინ შედგა VI ტური. გურგენიძემ მოუგო ლუტიკოვს, ზაჩიჩი — უბილაეს, რომანიშინმა — ჩიქოვანს. დაზავდნენ ლენერი — გუფელი, ჩეჩელიანი — სტურუა. ორი პარტია გადაიღო.

● ველოსპორტი საბულისხმო წარმატება

თბილისის ცენტრალურ ველოსპორტულ და მთავარად საერთაშორისო ტურნირი საქართველოს ტრენინგის დიდ პრიზზე, რომელშიც ჩვენი რესპუბლიკის წარმომადგენლებმა შესანიშნავად იასპარეზეს:

სპრინტი საბჭოთა სპორტსმენებისთვის მოიგო თბილისელმა სტუდენტმა გ. დვალისვილი, რომელმაც ფინალში სძლია თანაგუნდელს, 115-ე სკოლის მეათე-კლასელ გ. გელაშვილს.

საბჭოთა კავშირის ჩემპიონი,

თბილისელი პ. ჩევერდოვი უძლიერესი იყო 4 კილომეტრზე გამოდევნებით რბოლაში და 4 კილომეტრზე გუნდურ ტურნირში (გ. პეტრაკოვთან, უ. ანსონსა და ნ. მაკაროვთან ერთად).

75 წრეზე 25 საშუალო ფი-

ნიშით რბოლა განთიადელი ა. სივოელეშოვის გამარჯვებით დასრულდა. სივოელეშოვმა საერთაშორისო კლასის სპორტის ოსტატის ნორმატივი შეასრულა.

საქართველოს ტელევიზიის დიდი პრიზი საერთაშორისო სპრინტში მოიგო შარშანდელი მსოფლიო ჩემპიონატის ვერცხლის

პრიზიორმა ე. რაშმა (გდრ), რომელმაც ფინალში სამი შეხვედრიდან ორში სძლია თანაგუნდელ ლ. ზესელის. აქ მესამე ადგილზე გავიდა ამ პრიზის შარშანდელი მფლობელი, საბჭოთა სპორტსმენი ს. შურავლიოვი.

(შეგნებების დაწვრილებითი ანგარიში იხ. შემდეგ ნომერში).

წაღებული რეპანში არ შედგა

თბილისში, ლენინური კომპლექსის სახელობის ცენტრალურ საწყობსო კომპლექსის აუზში გამართა საბჭოთა და უნგრელი წყალბურთელების ახალგაზრდული ნაკრები გუნდების სამატჩო შეხვედრები. უფრო სწორად, შეჯიბრების პირველ დღეს ერთმანეთს შეხვდნენ სსრ კავშირის ქაბუთა და უნგრელი ახალგაზრდული გუნდები, მეორე დღეს კი მასპინძელთა ნაკრებიც ახალგაზრდული იყო. სწორედ ამ შეხვედრას ველოდით დიდი ინტერესით.

როგორც ცნობილია, ამას წინათ სოფიაში გამართულ ახალგაზრდა წყალბურთელთა საერთაშორისო ტურნირში საბჭოთა სპორტსმენებმა ყველას აჯობეს და „დიასას“ თასით დაბრუნდნენ, უნგრელებმა კი II ადგილი დაიკავეს. მაშინ მათი შეხვედრა ძალზე დაძაბულად

წარიმართა და მწვევე ბრძოლაში გამარჯვება საბჭოთა წყალბურთელებს ხვდათ წილად. აი, სწორედ ამიტომ გვირგვინი თბილისში ამ გუნდების შეხვედრა დაძაბულ, უშედეგო პაექრობას. სტუმრებს რეგულარულად, მასპინძლებს — პრესტიჟის დაკეცა.


ისპარჯობის პირველ დღეს, როცა ჩვენი ქაბუთა ნაკრები მასპინძლობდა უნგრელთა ახალგაზრდულ გუნდს, გამარჯვება საბჭოთა წყალბურთელებს ხვდათ წილად — 5:3. ამ შეხვედრის შემდეგ ვიფიქრეთ, რომ უნგრელები მეორე, პრინციპული თამაშისთვის ზოგადდნენ ძალებს, მაგრამ საბჭოთა ნაკრებმა კვლავ იოლად გაიმარჯვა — 8:2.

და მაინც, სამატჩო შეხვედრები, რაც არ უნდა პრინციპული იყოს, ისევ მომავალი ბრძოლებისთვის

სამზადისს ითვალისწინებს. ახლაც ამ გუნდების შეხვედრა ერთ-ერთი მოსამზადებელი ეტაპი იყო სოციალისტური ქვეყნების წყალბურთელთა საერთაშორისო ტურნირის წინ, რომელიც „დრუჟბას“ სახელწოდებითაა ცნობილი. ამიტომაც, სტუმართა და მასპინძელთა შეხვედრაში ხშირი იყო მოთამაშეთა შეცვლა. ერთ მომენტში საბჭოთა ნაკრების მწვრთნელმა ვ. საფრონოვმა ერთდროულად „მინდერის“ ხუთი მოთამაშე შეცვალა.

საბჭოთა ნაკრებში თბილისის „დინამოს“ სამი მოთამაშე: მ. გიორგაძე, გ. ტუცუაძე და დ. გვახარია იყო. თამაშის პირველ ნახევარში საბჭოთა კარს გიორგაძე დარაჯობდა, ხოლო მეორეში — ტუცუაძე.

ბ. რაზველიზვილი.



სურათზე: სსრ კავშირისა და უნგრეთის წყალბურთელთა ახალგაზრდული გუნდების შეხვედრის მომენტი.

სამგო ბაჟენის საკუთრო...

ბაჟენში გამართა სამბისტოთა XI საკავშირო ტურნირი გახვით „ვეჩერნი ტშენის“ პრიზზე. შეჯიბრებაში მოკავშირე რესპუბლიკების, მოსკოვის, ლენინგრადისა და ჩვენი ქვეყნის სხვა ქალაქების 250-მდე უძლიერესი ფეხბურთელები მონაწილეობდნენ. მათთვის ეს ასპარეზობა ერთ-ერთი ბოლო რეპეტიცია იყო სსრ კავშირის ხალხთა VII სპორტკვიადის წინ.

საქართველოს ნაკრები (უფროსი მწვრთნელი ნ. ექვთიშვილი), რომელიც 10 კაცით იყო წარმოდგენილი, კარგად გამოვიდა და

სპეციალისტების მოწონება დაიმსახურა. ტურნირზე პირველი ადგილები დაიკავეს კ. არაბულმა (68 გგ), ა. კოპოლიძემ (82) და ზ. ბახტაძემ (100). მეორე ადგილებზე გავიდნენ დ. ჯღაღავილი (62) და ა. მუხაივი (მძიმე წონა). მსოფლიოს ექს-ჩემპიონი ი. მაღალაშვილი (57), რომელიც მისთვის უჩვეულო წონაში გამოდიოდა, მე-სამე ადგილს დასაჯერდა.

თ. კიტანძე, საქართველოს სპორტკომიტეტის უფროსი მწვრთნელი სამბოში.

გამარჯვება კუბიშვილი

კუბიშვილი „მეტალურგის“ სტადიონი. 11 მაისი.

„კრილია სოვეტოვი“ (კუბიშვილი) — „დინამო“ (თბილისი) 1:3 (1:3).

„პრილია სოვეტოვი“: ლიხენჩუკი, ლოხვი, კუპრიანოვი, სიბგატულინი (მინავეცი), არუთინიანი, პანფილოვი, სიდოროვი, მარტინოვი, კუხნეცოვი, პილიპოვ, ვეტიხოვი.

„დინამო“: გაბელია, ხიზანიშვილი, ჩივაძე, ხინგაშვილი, გ. მაჩაიძე (მუჭირი), დარასელია, მ. მაჩაიძე, ქორიძე, შენგელია (ყიფიანი), ჩელევაძე, სულაქველიძე.

მსაჯი ა. პოლიკანოვი (ლენინგრადი).

დუბლორები — 2:3.

მატჩის დასაწყისი საქმოდ წარუმატებელი აღმოჩნდა თბილისელთათვის: მასპინძლებმა ზედიზედ მიიტანეს იერიშები მოპირადად კარზე, იგავდეს ძნელი ბურთის გამოტანა მოუხდა ზედ კა-

უაღესი

რის ხაზიდან, მე-6 წუთზე კი პილიპოვმ შეძლო ზუსტად შეესრულებინა გადამწყვეტი დარტყმა და ანგარიში გაიხსნა.

ამას მოჰყვა დინამოელთა შეტევების მთელი სერია და სულ მცირე ხნის, დაახლოებით ათიოდე წუთის მანძილზე კუბიშვილელთა კარი ზედიზედ სამჯერ იქნა აღებული, ამასთან ეს ორჯერ გააკეთა ჩელევაძემ, ორივეჯერ დარასელიას გადაცემით და ორივეჯერ — თავით. მესამე გოლის უშუალო მონაწილეც კვლავ ჩელევაძე იყო. მის წინააღმდეგ უხეშად ითამაშეს მცველებმა, დაინიშნა საჯახიმო დარტყმა, რომელიც ზუსტად გამოიყენა მ. მაჩაიძემ — 3:1.

მეორე ტაიმში კუბიშვილები ბევრს ეცადნენ გამოესწორებინათ მდგომარეობა, მაგრამ დინამოელთა დაცვა მათთვის დაუღწეველი აღმოჩნდა. თბილისელებმა მორიგი გამარჯვება იზეიმეს.

8, 10 და 11 მაისს გამართა ფეხბურთში სსრ კავშირის 42-ე ჩემპიონატის VIII ტურის კალენდარული შეხვედრები:

„დინამო“ მ. — „სპარტაკი“ 0:0
 „ჩერნომორეცი“ — „დინამო“ 85:0:1
 ახკ რ. — „ზარია“ 2:2
 „ზენიტი“ — „ფხვთაქორი“ 2:1
 ცსკა — „ტორპედო“ 1:2
 „შახტიორი“ — „ქაირათი“ 1:0
 „დინამო“ კ. — „არარატი“ 2:1
 „ლოკომოტივი“ — „ნეფთჩი“ 0:0.

კავიჩანთან ერთად — მეორე ადგილი

ლენინგრადში დამთავრდა პიონერთა სასახლეების გუნდების საკავშირო გათამაშება გახვით „კომსომოლსკაია პრადის“ პრიზზე. გამარჯვება ხვდა ხარკოვის გუნდს — 36,5 ქულა და ჯილდოც მას გადაეცა. ამდენივე ქულა მოაგროვა თბილისის გუნდმა, მაგრამ დიდოსტატებთან შედარებით თბილისელმა ყმაწვილებმა მხოლოდ 7 ქულა მოაგროვეს, ხარკოველებმა კი 8,5.

გუნდების კაპიტნების (დიდოსტატთა) კონკურსში I-II ადგილები გაიყვეს ტ. პეტროსიანი (თბილისელთა კაპიტანი) და ა. გიპსლისმა (რეგულარული კაპიტანი) — 29,5-29,5 ქულა 35-დან.

ნორჩ მოჭადრაკეთაგან წარმატებით ითამაშა 17 წლის ხარკოველმა ი. ნოვიკოვმა, რომელმაც მოუგო სამ დიდოსტატს და ორთან ყაიმს მიიღწია.

სუთნი — ნაკრები

როგორც ცნობილია, სსრ კავშირის ფეხბურთელთა ნაკრები ევროპის ჩემპიონატის საბასუბო შესარჩევ მატჩს ატარებს 19 მაისს თბილისში უნგრეთის გუნდთან.

გუნდის საქართველოს ფეხბურთის სამმართველოდან გვაცნობეს, რომ ამ მატჩისათვის მოსამზადებ-

გათამაშების ცხრილი

II ლიგა, IV ზონა

მდგომარეობა 11 მაისისთვის

კლუბი	თ. მ.	ფ. წ.	ბ.	ქ.
„ყარაბაგი“	7	5	0	2
„გურია“	7	4	2	1
„ლოკომოტი“	7	4	1	2
„არაზი“	7	4	1	2
„ზენიტი“	7	3	3	1
„დრუჟბა“	7	4	0	3
„გაზოვიცი“	7	3	2	2
„კოტაიცი“	7	3	2	2
„ლილა“	7	3	1	3
„კოლხეთი“	7	3	1	3
„დინამო“ კრ.	7	3	1	3
„დინამო“ ბ.	7	3	1	3
„დინამო“ ს.	7	3	1	3
„შირაკი“	7	3	1	3
„დინამო“ ზ.	7	3	1	3
„ტორპედო“	7	3	0	4
„ხაზარი“	7	3	0	4
„გასტელი“	7	3	0	4
„ავტომობ.“	7	2	2	3
„ტორპედო“	7	2	1	4
„არუზნი“	7	2	1	4
„პროგრესი“	7	2	1	4
„არაბკირი“	7	1	3	3
„ურალეცი“	7	2	0	5

დაწინაურდა კახაბერიშვილი

აბაშა, 11 მაისი (ტელეფონით, ჩვენი ხეც. კორ.). აქ მიმდინარეობს საქართველოს ქალთა პირველობის ჩემპიონის სახელისთვის იბრაჰიმან ც. კახაბერიშვილი, ქ. გაჩეჩილაძე, ლ. თანდაშვილი, ნ. ფილია, ლ. ბელოზიროვა (ყველა — თბილისი), ც. ქასოშვილი (გორი), ე. ფახიროვა, თ. მესხი, ი. ესებუა, ნ. ჩოფხაძე (ყველა — ქუთაისი), მ. ჩაჩიბაია, ნ. გოგია (ორივე — ხაჩიათა), ნ. სიჭინავა (გალი), ლ. ავბაბიშვილი (რუსთავი), ვ. ლ. დანელიძე (ორივე — აბაშა).

5 ტურის შემდეგ დაწინაურდა საქართველოს ოთხჯანის ჩემპიონი კახაბერიშვილი, რომელმაც მესხ-

თან ყაიმის შემდეგ დაამარცხა ჩაჩიბაია, ლ. დანელია, სიჭინავა და ბელოზიროვა. მას კვალში მიჰყვებოდა სსრ კავშირის ჩემპიონი გოგონებს შორის მესხი და ქასოშვილი — 4-4. მესხმა მეორე ყაიმი გააკეთა ესეტუასთან და სძლია ფილიას, ჩაჩიბაიასა და ავბაბიშვილს, ქასოშვილი დაუხვდა თბილისის ჩემპიონ თანდაშვილს, ფახიროვას და მოუგო გაჩეჩილაძეს, გოგიასა და ავბაბიშვილს.

ლიდერთა ჯგუფში არიან, აგრეთვე, თანდაშვილი — 3,5, ფახიროვა — 3 (1), ჩოფხაძე — 3.

ო. თვალთვალი, პირველობის მთავარი მსაჯი.

ლიგაში

შედა პირველი ლიგის ფეხბურთელთა გუნდების გამოტოვებული მატჩი დნეპროპეტროვსკის „დნეპრსა“ და ლვოვის „კარპატს“ შორის, ლვოველებმა ეს გასული შეხვედრა მოიგეს ანგარიშით 3:2.

□

თასი — „სალნიოს“

თბილისში გამართა სპორტის დამსახურებულ ოსტატ ა. ქორდანის სახელობის თასის ფინალური მატჩი გეგეჭკორის „სალნიოს“ და ლაითურის „გევანტს“ შორის. გეგეჭკორელმა ფეხბურთელებმა თამაში მოიგეს ანგარიშით 4:0 და დაუფლნენ საბათო პრიზს.

ევროპის ჩემპიონატი

II ჯგუფი

ოსლო. აქ გამართა ევროპის ჩემპიონატის შესარჩევი მატჩი ნორვეგიისა და პორტუგალიის ფეხბურთელთა შორის. თამაშის ბელ გადაწყვიტა ერთადერთმა გოლმა, რომელიც პორტუგალიელმა ალვესმა გაიტანა მასპინძელთა კარში.

უაღესი თასზე

9 მაისს ბელგრადში გამართა უეფას თასის პირველი ფინალური მატჩი ადგილობრივ „ცრვენა ზეზდსა“ და მიონხენგოლბახის (გფრ) „ბორუსიას“ შორის.

ამ ჯგუფში ახლა ასეთი მდგომარეობაა:

კლუბი	თ. მ.	ფ. წ.	ბ.	ქ.
პორტუგალია	4	3	1	0
ავსტრია	5	2	2	1
ბელგია	4	0	4	0
შოტლანდია	3	1	0	2
ნორვეგია	4	0	1	3

საკონტინენტთაშორისო...

ამ დღეებში საკონტინენტთაშორისო თასის გათამაშების 3 მატჩი გაიმართა.

პარიზში საფრანგეთის კალათბურთელთა ნაკრებმა გუნდმა მეორე გამარჯვება იზეიმა, ამჯერად არგენტინის ნაკრებთან — 103:87.

ორი მატჩი გამართეს კიევში საბჭოთა ნაკრების კალათბურთელებმა, რომლებმაც ჯერ აშშ-ს ნაკრები დაამარცხეს — 91:77, ხოლო შემდეგ არგენტინელებსაც სძლიეს — 105:59.

იუნიორთა ჩემპიონატი

გუშინ თბილისის სპორტის სასახლეში დაიწყო იუნიორთა კალათბურთელთა საკავშირო ჩემპიონატის II ტურის შეხვედრები. ტურნირში, რომელსაც სპეციალისტებმა „მცირე ჩემპიონატი“ შეარქვეს, ჩვენი ქვეყნის უმძლესი ლიგის გუნდების დუბლშემადგენლობების, აგრეთვე, ძირითადი შემადგენლობების ახალგაზრდა კალათბურთელები მონაწილეობენ.

გათავაზობთ შეჯიბრების კალენდარს:

12 მაისი. 12.00. „ჯალგირისი“ (კულნაი) — „სტატბა“ (ვილიუსი), 14.00. „სტროიტელი“ (კიევი) — ვეფ-ი (რიგა), 16.00. „დინამო“ (თბილისი) — რტი (მინსკი). 13. 12.00. „სტროიტელი“ — რტი, 14.00. ვეფ-ი — „სტატბა“, 16.00. „დინამო“ — „ჯალგირისი“.

15. 15.00. „სტროიტელი“ — „სტატბა“, 17.00. რტი — „ჯალგირისი“, 19.00. ვეფ-ი — „დინამო“.

16. 14.00. ვეფ-ი — „ჯალგირისი“, 16.00. „სტატბა“ — რტი, 18.00. „სტროიტელი“ — „დინამო“.

გუშინდელი შეხვედრების შედეგები ასეთია: „დინამო“ (თბილისი) — „სტატბა“ (ვილიუსი) 82:80 (37:33), „სტროიტელი“ (კიევი) — „ჯალგირისი“ (კულნაი) 106:87 (59:41), ვეფ-ი (რიგა) — რტი (მინსკი) 108:84 (54:38).

სპორტულ გაზეთზე

ფეხბურთი. საქართველოს ჩემპიონატი. 12 მაისი. ასკ-ს სტადიონი. ასკ (თბილისი) — „შალგირისი“ (კიევი). დასაწყისი 11 ს. 13 მაისი. დიმიტროვის სახ. საავიაციო ქარხნის სტადიონი. „ავიაციორი“ (თბილისი) — „შვირი“ (გალი). 17 ს. მოზარდთა რესპუბლიკური პირველობა. ასკ-ს სტადიონი. ასკ (თბილისი) — „დინამო“ (შუგდილი). 14 ს.

გაზეთი გამოდის ყოველდღე, გარდა ორშაბათისა და პარასკევისა. რედაქციის მისამართი: 880096, თბილისი, ლენინის ქ. № 14 დეპრეზიუმისთვის — თბილისი, „ლელო“. ტელეფონები: რედაქტორი — 99-56-14, 99-97-50; რედაქტორის მოადგილე — 99-56-47; მასშტაბი ფიჭულტურული მუშაობის — 98-97-55; სპორტის პროპაგანდის — 98-97-51; მოსწავლე და სოფლის ახალგაზრდობის — 98-97-53; ჟღერაის — 98-97-26; სამხატვრო — 98-97-52; წერილების — 98-97-54; კორექტორები — 98-97-49; გამოშვები — 98-98-81; ფოტოლაბორატორია — 98-97-58; მემანქანები — 98-97-57.